სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2023 წელს გაცემული საჯარო ინფორმაციის შესახებ ანგარიში

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 49-ე მუხლის შესაბამისად წარმოგიდგენთ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფორმაციის საჯაროობის 2023 წლის ანგარიშს.

საანგარიშო წლის განმავლობაში:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოსულია სულ 18 განაცხადი. აქედან საჯარო ინფორმაცია გაცემულია: იურიდიულ პირებზე - 3; ფიზიკურ პირებზე - 4; ზეპირი შეტყობინებით - 11.

2. საჯარო ინფორმაციის შესწორების მოთხოვნით საკრებულოში მომართვის ფაქტს ადგილი არ ქონია. საკრებულოს არ მიუღია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება.

3. საჯარო ინფორმაციის დაკმაყოფილების შესახებ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ მიღებულია 18 გადაწყვეტილება.

4. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის ფაქტები არ ყოფილა.

5. 2023 წელს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დახურული სხდომა არ ჩატარებულა.

6. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო მოსამსახურეთა მიერ ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ დარღვევისა და საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სასჯელის დადების ფაქტს ადგილი არ ქონია.

7. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.